

## ლინჩის ახალი წესი

ლელა ოჩიაური  
27.11.2017

**მოწონება** **გაზიარება** ეს მოსწონს 22 ათ. ადამიანს. რეგისტრაცია რომ ნახოთ რა მოსწონთ თქვენ მეგობრებს.



კულტურის სფეროდან იშვიათად თუ რამე გამოაცოცხლებს ხოლმე ყოველდღიურ პრობლემებში, საზრუნავში, ათასი მძიმე ფიქრითა თუ დაძახული შრომით გადაღლილ, კარჩაკეტილ და გაგულგრილებულ ჩვენს საზოგადოებას. მაგრამ ზოგჯერ ხდება ისეთი ამბები, რომლებიც ინვევენ ცხოველ, გულწრფელ ინტერესს და ბადებენ რწმენას, რომ არა მარტო პოლიტიკით, კონფლიქტებით, დაპირისპირებითა თუ სკანდალებით ვსულდგმულობთ, არამედ ჩვენს სულსა და გულს ცხოვრების სხვა სფეროებზე იზიდავს.

ასეთ მოვლენად იქცა ამერიკელ კინემატოგრაფისტ დევიდ ლინჩის (არ ჩამოვთვლი მის რეგალიებს, პროფესიებს, პრიზებსა და ბიოგრაფიის ფრაგმენტებსაც არ გავიხსენებ) საქართველოში ჩამოსვლა, რომლის მოლოდინმა იმაზე მეტად გაამართლა, ვიდრე წარმოსადგენი იყო.

ვიზიტის ორგანიზატორი და სრული სიზუსტით, ლოგიკითა და მრავალშრიანი პროცედურის მიზანმიმართულად დამგეგმავი და განმახორციელებელი - კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდის წარმომადგენლობა იყო, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, პირველად საქართველოს ისტორიაში ასეთი რანგის ხელოვანს არა მხოლოდ უმასპინძლა, არამედ მთელი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი საქმიანი სამომავლო გეგმები არათუ დასახა, ეტაპობრივი შესრულება დაიწყო.

თანამედროვეობის გამორჩეულ, ფაქტობრივად, საკულტო რეჟისორთან შეხვედრის, მასთან ერთ ჭერქვეშ მოხვედრის, "ცოცხლად" დანახვის, გასაუბრების, კითხვების დასმის, პასუხების მოსმენის, თუნდაც საკუთრივ მისთვის ფოტოს გადაღების (სელფზე რომ არაფერი ვთქვათ) მსურველი ძალიან ბევრი იყო. ამიტომაც ყველა სივრცე (სასტუმრო "მარიოტი", კლუბი "ხიდი", კინოთეატრი "ამირანი"), რომლებშიც ვიზიტის ორგანიზატორებმა ხელოვანისა და საზოგადოების შეხვედრები გამართეს, სრულიად (და ზედმეტადაც კი) გაივსო სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, ინტერესებისა და გემოვნების ადამიანებით. ზოგი პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა და ქართული კულტურის ისტორიას, ამ გამორჩეული ფაქტის დოკუმენტებს ქმნიდა. უდიდესმა ნაწილმა ცხოვრების ოცნება აიხდინა და ლეგენდის ხილვით ბედნიერად გრძნობდა თავს.

ცხადია, იყვნენ ისეთებიც, რომლებსთვისაც ლინჩი (პირადი სიყვარული-არსიყვარულის მიუხედავად) მსოფლიო კინემატოგრაფის ნაწილია და ჯანსაღი ინტერესი ამოძრავებდათ შემოქმედებასა თუ ამა თუ იმ საკითხზე მისგან ინფორმაციის უშუალოდ მისაღებად. ზოგი, როგორც ყოველთვის ხდება, "ფეხის ხმას აჰყვამ" და მიზნად დაისახა, "განდობილებს" არ ჩამორჩენოდა და საერთო ფერხულში ჩაბმულიყო.

დევიდ ლინჩი ყველაზე უფრო 70-იანი წლებიდან გამოჩნდა კინოში ხმაურით, "სკანდალურებით", ახალი, დამოუკიდებელი და თავისთავადი აზროვნებით, ახალი კინომიმართულებების დანერგვითა და მიმდევრების ამალით და ყველაზე უფრო პირველი ათწლეულის მიწურულიდან ასეთივე არაორდინარული განაცხადით - კინოს დატოვების შესახებ - "გაქრა".

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი ბიოგრაფია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმებით (მართალია, ძალიან წარმატებული) არცთუ მდიდარია (1977 წლიდან 2007-ამდე) "საშლელთავა", "ლურჯი ხავერდი", "ადამიანი სპილო", "დიუნა", "ველური გულები", "გზა არსაით", "უბრალო ისტორია", "მალპოლანდ დრაივი", "შიდა იმპერია" და "თვინ ფიქსი", რამდენიმე მოკლე და ანიმაციური ფილმი), შეიცავს 10-წლიან პაუზას, ვიდრე 2017 წელს არ "გადაიფიქრა" და სახელგანთქმული (არა მხოლოდ მის ბიოგრაფიაში) "თვინ ფიქსის" მესამე სეზონით ხმაურიანად და "ლინჩისებურად" არაორდინარულად არ დაბრუნდა. დაბრუნდა "ახალ ადამიანად".

ორგანიზატორებმა პირველი შეხვედრა თბილისში, სასტუმრო "მარიოტში", აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის (და რამდენიმე არაკრედიტებულიისთვის, რომლებსაც ორგანიზატორებმა დიდსულოვნად დართეს დასწრების ნება) პრესკონფერენცია გამართეს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სტუმრები: დევიდ ლინჩი, ლინჩის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ბობ როთი და კავკასიაში დევიდ ლინჩის ფონდის წარმომადგენლები: გიგა აგლაძე (რეჟისორი, მუსიკოსი, ფონდის ხელმძღვანელი) და ნინა ცაგარელი (ფონდის პიარ დირექტორი).

რამდენიმე ათეული კამერა და მედიის ათეულობით წარმომადგენელი დევიდ ლინჩს ცოცხალი და აქტიური ინტერესით ადევნებდნენ თვალს. არ ჩერდებოდა ვიდეო და ფოტო გადაღება (პროფესიული ფოტოაპარატებითა და პირადი ტელეფონებით), არ წყდებოდა კითხვები და როგორი უცნაურიც უნდა იყოს, ვრცელი, ამომწურავი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი პასუხები.

სწორედ ამ კითხვა-პასუხის პროცესში, უშუალოდ ფილმებზე, სარეჟისორო ხელწერაზე, წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე, შემოქმედებით იდეებსა თუ კრიზისზე, ამა თუ იმ კინოსურათის გადაღების იმპულსზე, ინსპირაციაზე, მრავალწლიან შემოქმედებით პაუზაზე, დამოკიდებულებაზე, ზოგადად, ცხოვრებისა თუ პირადულ საკითხებზე, გამოიკვეთა (რაც საზოგადოებისთვის წინასწარ ასე თუ ისე ცნობილი იყო) დევიდ ლინჩისა და ბობ როთის თბილისში (საერთოდ, კავკასიაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს) ვიზიტის მთავარი მიზეზიც, მიზანიც და მომავლის "გენერალური" გეგმაც.

დევიდ ლინჩის ფონდი, რომლის შექმნაშიც რეჟისორმა 7 მილიარდი დოლარი მოაგროვა და რომელიც მახარიში მახეშ იოვის, ხელოვანთა (და, რა თქმა უნდა, არა მარტო) წრეებში საკმაოდ გავრცელებული და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მოძღვრების - ტრანსცენდენტული მედიტაცია - "მახარიშის მოძრაობა" - საფუძველზე აწყობილი, ფიზიკურ-სულიერი სტრესებისგან გამათავისუფლებელი, სუფთა ცნობიერების, ცნობიერების მიღმა საფეხურზე ასვლის გამომწვევი ცოდნის მიმღწევი სისტემაა, რომელიც მასწავლებლებსაც ამზადებს და მათი წყალობით დიდ ქსელს მოიცავს.

ამ სისტემის მიმდევარი და პროპაგანდისტი ლინჩი 2002 წლიდან გახდა. ცოტა ხანში, აგრესიისა და ფსიქოლოგიური სიმძიმეებისგან გათავისუფლებულმა, ხანგრძლივი დროით (როგორც მაშინ გამოაცხადა, საბოლოოდ) თავი დაანება კინოს და თანამოაზრეებთან ერთად მსოფლიოში მოგზაურობა და სისტემის (მოძღვრება ყველას, მაგრამ, პირველ რიგში, სტუდენტების, ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი) დანერგვა დაიწყო.

სასტუმრო "მარიოტის" პრესკონფერენციაზე ასევე გაცხადდა, რომ დაგეგმილია დევიდ ლინჩის სახელობის კინემატოგრაფის ინსტიტუტისა და კინოფესტივალის დაარსება კავკასიაში, რაც საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შესაძლებლობას მისცემს, კიდევ უფრო გააფართოონ კინოკავშირი არა მხოლოდ ამერიკასთან, არამედ მსოფლიოს სხვა წამყვან კინემატოგრაფიულ ქვეყნებთან, რადგან ფონდი ბევრ ასეთ სახელმწიფოს აერთიანებს და ერთიან სულიერ ქსელში აბამს.

შემდეგი შეხვედრა კლუბ "ხიდში", საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის ცენტრში მოექცა. ბევრი მსურველი კლუბსგარეთ და, შესაბამისად, გულგატეხილიც დარჩა. მაგრამ "ხიდის" ტერიტორია აშკარად არ იყო "გათვლილი" დევიდ ლინჩის თაყვანისმცემლებისთვის. საჯარო ლექცია უშუალოდ ტრანსცენდენტულ მედიტაციასა და მის არსს, მნიშვნელობასა და ამ სფეროში - სულიერი აღორძინების მოძრაობაში - რეჟისორის გამოცდილების გაზიარებას დაეთმო.

ბოლო შეხვედრა თანამედროვე კინოს საკულტო რეჟისორთან კინოთეატრ "ამირანში" გაიმართა წითელი ხალიჩით, ფილმ "მაღპოლანდ დრაივის" (ასევე საკულტოდ ქცეული და ლინჩის ხელწერის ერთ-ერთი აშკარად გამომხატველი კინოსურათის, რომელიც გარესამყაროს დაშლისა და ადამიანების შინაგანი სამყაროს წგრევის, გაორების შემადრწუნებელ სურათს ქმნის და ტრადიციული თხრობის სისტემის სრულიად სხვაგვარი ფორმის სინთეზს შეიცავს) ჩვენებითა და უამრავი ჟურნალისტისა და ქართული კინოს წარმომადგენლების მონაწილეობით.

დევიდ ლინჩი ამ შემთხვევაშიც საკუთარი თავისა და პრინციპების ერთგული დარჩა. სცენიდან მიესალმა საზოგადოებას და განუცხადა, რომ არ უყვარს თავის ფილმებზე საუბარი მათი გადაღების შემდეგ და ჩვენების წინ (მართლაც, ის არასოდეს იძლევა განმარტებებს იმაზე, თუ რა და რატომ გადაიღო, რას ნიშნავს მის ფილმებში ხშირად ამოუცნობი და რთულად გასაშიფრი სცენები თუ ელემენტები, რადგან ყველაფერი თითოეული ჩვენგანის ქვეცნობიერება დამოკიდებული და ხშირ შემთხვევაში "მედიტაციურ" ჩაღრმავებასაც მოითხოვს). მაღლობა გადაუხადა დამსწრეთ და დატვირთული დღისა თუ წინა დღეების შეხვედრებით გადაღლილმა, ხანგრძლივი შეხვედრის მომლოდინე იმედგაცრუებული მაყურებელი სასწრაფოდ დატოვა.

დევიდ ლინჩმა, 10- ზე მეტი წელია, ახალი ცხოვრება დაიწყო და სხვადასხვა ქვეყანაში ლექციებით მოგზაურობით ათასობით ადამიანი აზიარა ტრანსცენდენტული მედიტაციის, "მახარიშის მოძრაობის" "წესებს". კინომოღვაწეობისგან განსხვავებით, სადაც ის მხოლოდ საკუთარ კანონებს ნერგავს და მისდევს, გურუს სიკვდილის შემდეგაც მისი კანონების ერთგული მიმდევარი რჩება და ლინჩის ახალი წესის გავრცელებას მსოფლიოში აგრძელებს.

**მოწონება** **გაზიარება** ეს მოსწონს 22 ათ. ადამიანს. [რეგისტრაცია](#) რომ ნახოთ რა მოსწონთ თქვენ მეგობრებს.

# LYNCH'S NEW LAW

It happens very rare when something can surprise our society overtired and overloaded with overthinking and work so isolated and indifferent in the cultural sphere on the background of daily problems. But sometimes such things happen which cause very lively and sincere interest and creates hope that our existence is determined not only by politics, conflicts, confrontations or scandals, but other spheres of life attract our heart and soul.

Such phenomenon became the American Filmmaker David Lynch's (I won't cite his awards, professions, prizes, neither will I recall his biography details) arrival in Georgia, which satisfied our expectations even more than we could imagine.

The organizer of the visit which proved itself as a exact, logical and purposeful planner and executor of the multilayered procedure – David Lynch Foundation in Caucasus, which we could say not only hosted such a high class artist in the history of Georgia, but except of setting very important future business plans for the region also started their step by step fulfillment.

There were so many wishing to meet, stay in one space" see alive", speak, ask questions, receive answers, even just take personal photos (not to say anything about selfies) with prominent, we could say iconic film director of the contemporary times. That's why all the spaces (hotel "Marriott", club "Khidi", film theatre "Amirani") where the organizers of the visit arranged meetings of the artist and public, have been fully (even more than that) filled up with people of different ages, professions, interests and tastes. Some of them performed a professional obligation creating history of Georgian culture and documents of this distinguished fact. The biggest part made the wish of their life come true and happy just seeing the legend.

Among them were those for whom Lynch (besides personal love or non love) is the part of the world cinema and had a practical interest towards receiving information directly from him about these or those questions. Some of them as it often happens decided to follow the devoted ones and not to stay aside from the common tendency.

David Lynch actively appeared in the cinema in the 70s of the XXth century, with a "scandalous" new and independent reflection, establishing new movie directions and army of followers and at the end of the first decade of the XXIst century with the unordinary announcement about leaving cinema – "disappeared".

But it should be noted that his biography with the feature length films (which are very successful) is not so rich (from 1977 to 2007), "Eraserhead", "Blue Velvet", "The Elephant Man", "Dune", "Wild at Heart", "Road to Nowhere", "The Stright Story", "Mulholland Drive", "Inland Empire" and "Twin Peaks", a few shorts and animations, include 10 years pause, before he "changed his mind" in 2017 and returned back so unordinarily, loudly and in the Lynchian manner with the third season of the famous (not only in his biography) "Twin Peaks". Returned as "a new human".

## *Translated*

---

The organizers hosted a press conference for the accredited journalists (and some non accredited ones, that were so generously allowed to attend by the organizers) in the hotel "Marriott".

The guests who participated in the meeting: David Lynch, CEO of David Lynch Foundation Bob Roth and representatives of David Lynch Foundation Caucasus: Giga Agladze (film director, musician, head of the Foundation) and Nina Tsagareli (PR Director of the Foundation).

A few dozens of cameras and dozens of media representatives watched David Lynch with lively and active interest. Video and photo shooting was proceeding in a non-stop mode (with professional photo cameras and personal phones), there was infinite queue of questions and no matter how strange it is, thorough answers containing important information.

It revealed exactly in this Q&A process, about films, director's signature, success and failure, creative ideas and crisis, impulse of shooting some specific film, long pause in creative work, attitude, about life in general and personal matters (what was more or less known in advance for the public) what was David Lynch's and Bob Roth's main reason, and purpose and "brilliant" plan of their visit in Tbilisi (as well as in Caucasus and different countries of the world in different times).

David Lynch Foundation was created by the director after collecting 7 million US Dollars on the basis of Transcendental Meditation system spread by Maharishi Mahesh Yogi and the Maharishi Movement so popular in the artistic circles (and not only). This is a system which helps get rid of physical and psychological stress, achieve self-development and clear mind, which trains teachers as well and represents the whole network.

Lynch became the follower and agitator of this system since 2002. Soon after liberating from aggression and psychological burdens, he quit movie activities for a long period of time (as he announced at that time, forever) he started to travel across the world together with his fellows and started to implement the system (the teaching is designated for everyone but mostly for students).

It was also announced on the press-conference in the hotel "Marriott" that it is planned to establish David Lynch Film institute and film festival in Caucasus that will enable Georgia, Azerbaijan and Armenia to expand the film union not only with USA but also other leading countries of cinema as the foundation unites many such countries and merges them into one spiritual web.

The next meeting held in the club "Khidi" earned significant interest from the side of the society. Many people willing to attend the evening stayed heartbroken outside of the club. The territory "Khidi" obviously was not figured out for David Lynch's fans. The main topic of the lecture was Transcendental Meditation, its notion, importance and the director's experience in this sphere of the movement of spiritual awakening.

The last meeting with the iconic director was held in the movie theatre "Amirani" on the red carpet, the film "Mulholland Drive" screening (also iconic, becoming one of the significant works clearly expressing Lynch's signature, which creates the terrifying image of duality, of dismantling outer world and demolishing the inner world of a human and contains the synthesis of absolutely different form of a traditional narrative system) with participation of a great deal of journalists and representatives of Georgian cinema.

David Lynch stayed faithful to himself and his principles. He greeted the society from the stage and declared that he does not like to talk about his movies after shooting and before screening (and really he never gives explanations about what and why was shot, what do the hardly decodable scenes and elements mean in his films, as everything depends on the subconscious mind in every one of us and often requires meditative deepening. He thanked the attending public overtired from the busy day or the previous days' meetings, quickly left the viewers so impatiently waiting for this meeting.

It's been more than 10 years since David Lynch started a new life and interested thousands of people with Transcendental Meditation and "Rules of Maharishi Movement" while travelling in different countries and giving lectures. Distinctive for movie making where he implements and follow only his rules, he stays faithful to these rules even after passing away of the Guru and continues to spread Lynch's new Law all over the world.